ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონთა ბიოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველთვიური გაზეთი * 1998 წლის ივლისი №4 ფასი 40 თეთრი

რედაქტორის სვეტი

პრეზიდენტი ჩვენი გაზეთის მკითხველია

სულ სამი თვეა „მილიონთა ბიოგრაფია“ ქართულ მასმედიას შეერია.

სულ სამად-სამი ნომრით წარსდგა იგი მკითხველის წინაშე.

ჯერ რომელ სახელსა და პოპულარობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს კია: ჩვენს პატარა გაზეთს აქვს თავისი ხელწერა და გამოკვეთილი პროფილი.

მისი თემატიკა და სარბიელია საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერა.

ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებას, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლას ემსახურება „მილიონთა ბიოგრაფია“.

მას თავისი სერიოზული, დაფიქრებული მკითხველი ჰყავს, რომელიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე პოლიტიკურ სიმყრალეს, ურთიერთჩასაფრებას, ურთიერთგანქიქებას, ყველასა და ყველაფრის ხელაღებით სიბინძურეში ამოვლებას კი არ ეძებს, არამედ ერის, ქვეყნის ხვალინდელ დღეზე დინჯ მსჯელობასა და ანალიზს.

ჩვენი გაზეთის მკითხველთა შორის ქვეყნის პრეზიდენტიც გახლავთ.

უკიდურესი მოუცლელობის, უმძიმესი საფიქრალის, ათასი საზრუნავის მიუხედავად, როცა ასეთი რთული მდგომარეობაა გალში, როცა განსაკუთრებით გააქტიურდა და დაირაზმა ოპოზიცია, როცა პრეზიდენტის მოუცილებელ მზერას საჭიროებს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება, ბატონი ედუარდი ნახულობს დროს ჩვენი გაზეთის წასაკითხად.

რა თქმა უნდა, ყოყოჩობით ისე დაბრმავებული როდი ვართ, ეს პატივი ჩვენი ნაღვაწის გამორჩეულობას მივაწეროთ.

უბრალოდ, საგაისო საყოველთაო აღწერაზე ფიქრმა მოაქცია „მილიონთა ბიოგრაფია“ მისი ყურადღების არეალში.

იმის დროც კი გამონახა, ჩვენი მოკრძალებული შრომა შეეფასებინა.

ამ დღეებში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თეიმურაზ ბერიძის სახელზე გამოგზავნილ ბარათში „მილიონთა ბიოგრაფიის“ მესამე ნომრის შესახებ მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად არის ნათქვამი: „უადრესად საინტერესოა“.

ბატონი პრეზიდენტის შეფასებასა და ყურადღებას მადლიერებითა და შემდგომი მუშაობის უფრო გამრავალფეროვნების პირობით იღებს „მილიონთა ბიოგრაფიის“ რედაქცია.



ინფორმაცია

შეხვედრა ერევანში

25-26 ივნისს ქ. ერევანში გაიმართა დსთ ქვეყნების სტატსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის მთავარი თემა მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერისათვის მზადება გახლდათ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციის და დსთ სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკური კომიტეტის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა სომხეთის პრემიერ-მინისტრი ა. დარბინიანი. მან ისაუბრა სტატისტიკის იმ ძირითად ამოცანებზე, რომლებიც დსთ თითოეული სახელმწიფოს წინაშე დააყენა მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა.

დსთ სტატსამსახურების საბჭომ განიხილა მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერათა ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხები, დასახა ღონისძიებები აღწერის შედეგების ურთიერთშეჯერებისა და დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემების გასაახლებლად, იმსჯელა დსთ ქვეყნების შიდა ვაჭრობის სტატისტიკის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ სრულყოფაზე, განიხილა რუსეთის ფედერაციის სახსტატკომის გამოცდილება ახალი სისტემური დამუშავების გამოყენებისა ფედერალური სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვების უნიფიცირებული ფორმების საფუძველზე.

თანამეგობრობის ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სამსახურები შეთანხმდნენ: გაგრძელდეს მუშაობა გაეროს ხაზით საერთო შიდა პროდუქციის საერთაშორისო ღირებულებითი შეპირისპირებისათვის.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე თეიმურაზ ბერიძე. საქართველოში მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერისათვის მზადების მიმდინარეობაზე საუბრისას მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაში მთავარი სიტყვა დსთ სტატისტიკის კომიტეტმა უნდა თქვას.

გადაწყდა: დსთ ქვეყნების სტატსამსახურების მორიგი, მე-16 შეხვედრა გაიმართება წლეულს ოქტომბერში, ალმა-ატაში.

ნომერში:

მოსახლეობის აღწერა ვიწრო საუწყებო საქმე არ არის ---------- 2



3, 4 ---------- რის შესახებ გვკითხავს აღმწერი?



ამერიკა, ამერიკა... ---------- 5, 6

6, 8 ---------- სტატისტიკოსთა ამბავი

1937 წლის აღწერის ოკეანური ანარეკლები, ფასი და რეპრესიები ---------- 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძალაძეთა სოციალური დაცვისათვის

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში განიხილეს საკითხი სოციალური დაცვის სფეროში აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების შემოღების შესახებ.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებულია დაუცველი ფენებისათვის მიზნობრივი სახელმწიფო დახმარების გაწევა. არსებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა გარდაიქმნება ორსაფეხურიან სისტემად, სადაც პირველი საფეხური უზრუნველყოფს ინდივიდუალური სავალდებულო, ანუ ნებაყოფლობითი საპენსიო შენატანების სისტემის ჩამოყალიბებას. ყველაზე ღარიბი პენსიონერების ხელშესაწყობად განხორციელდება საოჯახო დახმარების პროგრამები.

მოქმედი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა ოპერატიულად ვერ ახასიათებს მიმდინარე პროცესებს. აქედან გამომდინარე, შემუშავდა სტატისტიკური ანგარიშგების ახალი ფორმები პერიოდულობის, ოპერატიულობის გათვალისწინებით: ანგარიში პენსიონერთა სახეებისა და რიცხოვნობის შესახებ (წლიური პერიოდულობით), ანგარიში საპენსიო უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ (კვარტალური პერიოდულობით), ანგარიში მოხუცებულთა და ინვალიდთა შესახებ, ანგარიში ოჯახის დახმარებების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების ბაზაზე შესაძლებელი გახდება შესაბამისი ოპერატიული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და სამთავრობო ორგანოებისათვის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს მართებული გადაწყვეტილებების მიღებას სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისათვის.

მზადება

მოსახლეობის აღწერა ვიწრო საუწყებო საქმე არ არის

თეიმურაზ ბერიძე,
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მოსახლეობის აღწერისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. აღწერამდე ცოტა დრო რჩება. განვლილ პერიოდში დიდი მუშაობაა გაწეული ქალაქდასახლებებსა და მსხვილ სოფლებში სამისამართო მეურნეობების მოსაწესრიგებლად, კარტოგრაფიული მასალის შესადგენად და დასაზუსტებლად. მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, ეს სამუშაოები ძნელად, მაგრამ მაინც შესრულდა, რაც საფუძვლად დაედო ქალაქდასახლებებში სახლების და სოფლის ადგილებში სოფლის დასახლებული პუნქტების სიების შედგენას. დღეისათვის ყველა რაიონსა და ქალაქში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს აღწერის მოწყობის საორგანიზაციო გეგმების შესადგენად. პრაქტიკული დახმარება გაეწია ყველა რაიონსა და ქალაქს, აღწერის სამმართველო წინასწარ შედგენილი გეგმაგრაფიკის მიხედვით ახდენს საორგანიზაციო გეგმების განხილვას და მიღებას.

მომზადდა აღწერის მეთოდოლოგიური ბაზა, რომელსაც საფუძვლად დაედო გაეროს ევროეკონომიკური კომისიის და დსთ ქვეყნების სტატსამსახურების რეკომენდებული თემატიკა და წინა აღწერების გამოცდილება: მასში გათვალისწინებულია ქვეყნის და მისი მოსახლეობის ეროვნული თავისებურებანი და ტრადიციები. იგი მეცნიერთა მონაწილეობით ფართო მსჯელობისა და მოსახლეობის აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის წევრებთან არაერთგზის შეჯერების შემდეგ დამტკიცდა დეპარტამენტის მუდმივმოქმედ საბჭოზე. ასევე მიმდინარეობს მუშაობა აღმწერთა პორტფელების დასამზადებლად, სამუშაო და სასაწყობო ფართის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, საკანცელარიო ნივთების და აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავებისათვის საჭირო სკანერული მოწყობილობისა და მისი პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად.

მიმდინარე წლის 17 მაისს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება – „საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც დამტკიცდა ე.წ. ძნელმისადგომი რაიონების ჩამონათვალი, სადაც ზამთარში კავშირი რთულდება ან წყდება, განისაზღვრა იქ აღწერის მოწყობის ვადები (სექტემბერი). ამჟამად მიმდინარეობს ამ რაიონების საორგანიზაციო გეგმების შედგენა და განხილვა. სულ აღწერა ვადაზე ადრე უნდა გაიმართოს სამ რაიონში მთლიანად და სამ რაიონში ნაწილობრივ. უახლოეს დღეებში მთლიანად დასრულდება საორგანიზაციო გეგმების მიღება. საორგანიზაციო გეგმის შესაბამისად განისაზღვრა, თუ რა მოთხოვნილებაა სააღწერო კადრებზე, ადგილობრივი სტატორგანოები უკვე შეუდგნენ სიების შედგენას სააღწერო პერსონალის შესარჩევად.



იმედი ხვაღის

მიმდინარეობს მოსახლეობაში მასობრივ-განმარტებითი მუშაობა აღწერის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის, მისი ამოცანებისა და მიზნების შესახებ, თითოეული მოქალაქის მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. მასობრივ-განმარტებითი მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით მიმდინარეობს მუშაობა სასწავლო და დოკუმენტურ ფილმზე, რაც უახლოეს ხანში დამთავრდება და გამრავლებული ფილმი რაიონებს მიეწოდება გამოსაყენებლად.

აღწერის მაღალ დონეზე მოწყობას ძირითადად მისი ფინანსური დონე განაპირობებს. ჩვენ ამ მხრივ თავს ვერ მოვიწონებთ. 1996 წელს აღწერის მომზადების, მოწყობისა და მისი მასალების დამუშავების მთელი პერიოდისათვის, ე.ი. 1997-2001 წ.წ.-ში შვედ ექსპერტებთან ერთად შედგენილმა ხარჯთაღრიცხვამ 18 მილიონ 755 ათასი დოლარი შეადგინა, სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს თანხა 5,6 მილიონამდე იქნა დაყვანილი და 1 სულზე გაანგარიშებით 3,48 დოლარიდან 96 ცენტამდე დავიდა, რომლის ქვევით, ალბათ, ზღვარი არ არსებობს. დღემდე არ გამოინახა დონორი ქვეყანა, რომელიც დახმარებას გაგვიწევდა.

მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ მართალია დონორი ქვეყანა არ გამოინახა, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი სწავლება, სემინარები, მათი გამოცდილების გაზიარება ჩვენი სპეციალისტებისათვის ფასდაუდებულია და მადლობას იმსახურებს. აი, ამჟამადაც ჩვენი ორი სპეციალისტი ბრიტანეთში, გაერთიანებული სამეფოს ნოუჰაუს ფონდის მიერ მოწყობილ სემინარულ მუშაობაში მონაწილეობს.

რეგიონი

სამცხე-ჯავახეთი

მოსახლეობის აღწერის მოწყობის მოსამზადებელი პერიოდის კალენდარული გეგმის თანახმად, ამ ეტაპზე დგება აღწერის მოწყობის საორგანიზაციო გეგმები.

მას წინ უსწრებდა სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება, კარტოგრაფიული მასალის შედგენა-დაზუსტება, ქალაქდასახლებებში სახლების და სოფელ ადგილებში სოფლის დასახლებული პუნქტების სიების შედგენა. დღეისათვის ასეთი სურათია:

ახალციხის რაიონში დასრულდა სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება, კარტოგრაფიული მასალის დამზადება და სიების შედგენა.

შემუშავდა საორგანიზაციო გეგმა. სტატისტიკის რაიგანყოფილებას გამოეყო ოთახები გამგეობის შენობაში, ოღონდ ისინი გასარემონტებელია.

ადიგენის რაიონში მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა დამაკმაყოფილებელია. არის დაპირება გამგებლის სატელეფონო კავშირით აღჭურვილი ფართის გამოყოფაზე.

ბორჯომის რაიონშიც დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. საორგანიზაციო გეგმა ძირითადად შედგენილია და დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნება დადგენილ ვადაში.

ასპინძის რაიონში მხარის ყველა სხვა რაიონთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. შეფერხებაა კარტოგრაფიული მასალის საჭირო რაოდენობით გამრავლებაში, მაგრამ არის იმედიანი დაპირება.

ნინოწმინდის რაიონში საორგანიზაციო გეგმების შედგენის წინა პერიოდის სამუშაოები კალენდარული გეგმების დარღვევით წარიმართა, სამისამართო მეურნეობა კი დღესაც მოუწესრიგებელია, – ადგილობრივ ბიუჯეტში თანხები არაა.

მიმდინარეობს საორგანიზაციო გეგმის შედგენის სამუშაოები, მიღებულია კონკრეტული მითითებები, თუ როგორ უნდა მოხდეს სააღწერო დარაიონება. პრობლემაა სატელეფონო კავშირი. რაიონში მუშაობს მხოლოდ ორი აპარატი – გამგებელთან და პოლიციის უფროსთან. გამოყოფილი არ არის სამუშაო ოთახები აღწერის მომზადებით დასაქმებული მუშაკებისათვის.

ახალქალაქის რაიონში სიძნელეებია. აქ ახალია სტატორგანოს ხელმძღვანელი, მოსახლეობის აღწერის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ რწმუნებულად მოწვეულია წინა წლებში სტატორგანოს ყოფილი ხელმძღვანელი, რაც ერთგვარად ხელს შეუწყობს სამუშაოებს მიმდინარეობას.

ქალაქის სქემატური გეგმა შედგენილია ძველი, 1979 წლის აღწერის სქემატური გეგმიდან, ამდენად იგი არაზუსტია – მასზე აღნიშნული არაა ახლად აშენებული სახლები, სახლების ნუმერაცია სქემაზე არ შეესაბამება ფაქტობრივ ნუმერაციას. ასევე შედგენილია რაიონის რუქა, მაგრამ არც რუქა და არც სქემატური გეგმა არაა გამრავლებული და დამტკიცებული – მიზეზი ისევ და ისევ ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების უქონლობაა. სტატისტიკის განყოფილებაში არ მუშაობს ტელეფონი. დაკავშირება შეგვიძლია მხოლოდ გამგეობის მეშვეობით და ისიც – იშვიათად.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

მხარის ყველა რაიონში დროულად შეიქმნა და საქმიანობს მოსახლეობის აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიები.

თითოეულ რაიონში მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო სამისამართო მეურნეობის მოწესრიგებით და კარტოგრაფიული მასალის შედგენით. დღეისათვის მდგომარეობა ასეთია:

ამბროლაურის რაიონში კარტოგრაფიული მასალა ნაწილობრივ მზადაა, რაც შეეხება სამისამართო მეურნეობას, სამუშაო დაწყებულია, მაგრამ არ არის დასრულებული. შედგენილია ქალაქდასახლებებში სახლების და სოფელადგილებში სოფლების სიები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოსახლეობის რაოდენობა რაიონში მთლიანად შეადგენს 15979 კაცს. მათ შორის ქალაქში – 2797, ხოლო სოფლად – 13182 კაცს. დაწყებულია მუშაობა საორგანიზაციო გეგმის შედგენაზე, მოსახლეობის აღწერის სამმართველოს მიერ რეკომენდებული დატვირთვის ნორმებისა და საკონტროლო ციფრების საფუძველზე რაიონში შეიქმნა ორი სააღწერო სექტორი (1 ქალაქად – შერეული, 1 სოფლად). მათში შევიდა 13 საინსტრუქტორო (ქალაქად – 2, სოფლად – 11) და 47 სააღწერო უბანი (ქალაქად – 7, სოფლად – 40). ადგილზე შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ სოფლად 40 სააღწერო უბანი საკმარისი არ არის და ეს საკითხე მოითხოვს ხელახლა განხილვას და მსჯელობას.

მხარის ცენტრში, ამბროლაურის რაიონში, არ არსებობს პირდაპირი სატელეფონო კავშირი თბილისთან. ჯერ კიდევ გამოყოფილი არაა აღწერის მოწყობის და მისი მასალების შენახვისათვის საჭირო ოთახები.

ონის რაიონში მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. კარტოგრაფიული მასალა შედგენილია მაღალ დონეზე. რაიონში შექმნილია: ერთი სააღწერო სექტორი, 9 საინსტრუქტორო და 30 სააღწერო უბანი.

სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება არ დასრულებულა, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯერ კიდევ მიმდინარეობს თანხების გამოყოფა. რაიონის გამგებელმა ბ-მა რ. ნოდარიშვილმა განაცხადა, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს სტატორგანოსათვის კონკრეტული დახმარების გასაწევად, კერძოდ, უზრუნველყოფს აღწერისათვის საჭირო ოთახების და ტრანსპორტის გამოყოფას.

ამ მხარის შემადგენლობაში შედის *ცაგერის რაიონიც*, სადაც მთლიანად მზად არის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომზადებისა და მოწყობის სამუშაოები კალენდარული გეგმის მიხედვით. დასრულებულია მუშაობა საორგანიზაციო გეგმის შედგენაზე.

ლენტეხის რაიონი ძნელმისადგომია, ამიტომ აქ აღწერა სექტემბერში გაიმართება. ამის გამო რაიონში მოსამზადებელი სამუშაოები უფრო ჩქარი ტემპით უნდა წარიმართოს. ამჟამად შედგენილია კარტოგრაფიული მასალა, მოწესრიგებულია სამისამართო მეურნეობა. შექმნილია და მუშაობს საორგანიზაციო ადგილობრივი კომისია, რომელიც დახმარებას უწევს რაიონის სტატორგანოს აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში. კერძოდ, კომისია შექმნილია როგორც რაიონის მასშტაბით, ისე ცალკეულ სოფლის საკრებულოებთან. მიმდინარეობს მუშაობა საორგანიზაციო გეგმის შედგენაზე.

რაიონში მოსახლეობა მთლიანად შეადგენს 9366 კაცს, მათ შორის ქალაქში – 1975, ხოლო სოფლად – 7391 კაცს. აქედან გამომდინარე, რაიონში შეიქმნა ორი სააღწერო სექტორი (ერთი ქალაქად – შერეული, ერთი სოფლად), მათში შედის 11 საინსტრუქტორო და 38 სააღწერო უბანი.

რაიონის გამგეობასთან შეთანხმებით გამოყოფილია აღწერის მოწყობისა და მასალების შენახვისათვის საჭირო ოთახები.

არადამაკმაყოფილებელია სატელეფონო კავშირი სოფლებთან, მხარის ცენტრთან და დედაქალაქთან.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ტარდება მასობრივ-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის აღწერის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე. ამისათვის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა ორი სტატია.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

ფორმა № 2

დამტკიცებულია სტატისტიკის მიერ 1997 წ. 30. 12 №128-ს ბრძანებით

აღნიშვნების დასმის ნიმუშები - სწორია: ☒ არასწორია: ⧅ ⧄

ციფრების ჩაწერის ნიმუშები:

0 1 2 3 4 5 6 7 8 9

საქართველოს მოსახლეობის 1999 წ. საყოველთაო აღწერა

საარჩევნო ფურცელი

საარჩევნო სექტორის № ☐ საინსტრუქტორო უბნის № ☐ საარჩევნო უბნის № ☐ საცხოვრისში შეცხოვრებთა სიის № ☐ საცხოვრისის ფარგლებში პირის რიგითი № ☐ ბლანკის № ☐

გვარი, ინიციალები _____ № ☐

1. ნათესაური დამოკიდებულება შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ	შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირი ☐ მეუღლე ☐ შვილი ☐ დედის (მამის) № შინამეურნეობის ფარგლებში ☐ დედა, მამა ☐ და, ძმა ☐	რძალი, სიძე ☐ დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი ☐ ბებია, ბაბუა ☐ შვილიშვილი ☐ სხვა ნათესავი, მოყვარე ☐ არანათესავი ☐
2. სქესი	მამრობითი ☐	მდედრობითი ☐
3. დაბადების თარიღი	წელი ☐ რიცხვი ☐ თვე ☐	შესრულებულ წლად რიცხვი ☐
4. მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრობს დაბადებიდან	დიახ ☐	არა ☐
	თუ არა, მაშინ ვინც შეცვალა საცხოვრებელი ადგილი, მიუთითეთ:	
	ა) წელი, რომლიდანაც აქ უწყვეტად ცხოვრობს ☐	ვ) რომელი დასახლებული პუნქტიდან ჩამოსვლა ქალაქიდან ☐ სოფლიდან ☐
	ბ) წინა საცხოვრებელი ადგილი _____ სახელმწიფო, რაიონი, ქალაქი	დ) ხარი თუ არა იძულებითი ადგილნაცვალი? დიახ ☐ არა ☐
	_____ ☐ დასახელება	
5. მშობლიური ენა	ქართული ☐	☐
(მიუთითეთ ავრეთვე სხვა ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობთ)	ქართული ☐	☐ ☐
6. მოქალაქეობა	საქართველოს ☐ მოქალაქეობის გარეშე ☐	სხვა სახელმწიფოს _____ ☐ მიუთითეთ სახელწოდება
7. ეროვნება		☐

რის შესახებ გვკითხავს აღმწერი?

აღწერის ამოცანაა არა მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემების მიღება, არამედ მისი შემადგენლობის განსაზღვრაც ე.ი. სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნით მათი განაწილება.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს თითოეული ადამიანის ამა თუ იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფისათვის მიკუთვნება, საჭიროა მის შესახებ აღწერის პროგრამით გათვალისწინებული ცნობების მიღება.

მოსახლეობის აღწერის კითხვარი ხუთი ფორმისაგან შედგება, რომელთაგან მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები ჩაიწერება საარჩევნო ფურცელში (ფორმა 2). წინა აღწერებთან შედარებით, საარჩევნო ფურცელმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან გამომდინარე, კითხვარში შეტანილია კითხვები მოქალაქეობის, სარწმუნოების, მიგრაციის, შრომითი აქტივობის შესახებ.

თქვენთან მოსული აღმწერი მოგცემთ რამდენიმე შეკითხვას, ხოლო თქვენი პასუხების საფუძველზე შეავსებს საარჩევნო ფურცელს.

აღმწერი პირველად არკვევს, რამდენი შინამეურნეობა ცხოვრობს მოცემულ საცხოვრისში, ვინ ექვემდებარება აღწერას როგორც მუდმივი მცხოვრები, ვის დაესმის აღნიშვნა დროებით არყოფნის ან დროებით ცხოვრების შესახებ, შემდეგ კი იწყებს თითოეული შინამეურნეობის წევრების გამოკითხვას. პირველად ჩაწერს შინამეურნეობის ერთ-ერთ უფროს წევრს, ხოლო შემდეგ დანარჩენ წევრებს. თითოეულმა მათგანმა ამომწურავი პასუხები უნდა გასცეს საარჩევნო ფურცლის კითხვებზე.

პირველი კითხვა. ნათესაური დამოკიდებულება შინამეურნეობაში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ.

იმისაგან გამომდინარე, თუ შინამეურნეობის უფროს წევრთაგან ვინ ჩაიწერა პირველად, შინამეურნეობის დანარჩენ წევრებს მიეთითებათ ნათესაური დამოკიდებულება მის მიმართ. მაგალითად, მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და, ძმა, რძალი, სიძე და ა. შ.

კითხვა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ შინამეურნეობათა რიცხვი, თითოეული მათგანის შემადგენლობა და შემადგენლობიდან გამომდინარე, მივაკუთვნოთ იგი ამა თუ იმ დემოგრაფიულ ტიპს: მაგალითად, მეუღლეთა წყვილი ბავშვებით და მათ გარეშე; შინამეურნეობა, შემდგარი ორი ან მეტი მეუღლეთა წყვილისაგან; დედა (ან მამა) ბავშვებით და ზოგიერთი სხვა ტიპი.

მეორე კითხვა. სქესი.

აღინიშნება ერთ-ერთი მოყვანილი ჩამონათვალიდან.

მესამე კითხვა. დაბადების თარიღი.

თითოეულ პირს ჩაეწერება მისი დაბადების წელი, თვე და რიცხვი. აქვე მიეთითება შესრულებულ წელთა რიცხვი, ე. ი. ასაკი.

მოსახლეობის შემადგენლობა სქესისა და ასაკის მიხედვით ფრიად მნიშვნელოვანი დემოგრაფიული დახასიათებაა, ამიტომ ზუსტ პასუხს დაბადების თარიღის შესახებ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

მეოთხე კითხვა. მოცემულ დასახლებულ პუნქტში უწყვეტად ცხოვრობს დაბადებიდან.

ამ კითხვის მიზანია შევისწავლოთ მოსახლეობის მიგრაციული ნაკადები. გამოვარკვიოთ, თუ რამდენმა ადამიანმა გამოიცვალა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

კითხვა შეიცავს ოთხ ნაწილს. თუ გამოსაკითხი პირი მოცემულ დასახლებულ პუნქტში არ ცხოვრობს დაბადებიდან, მაშინ ჩაიწერება წელი, როდესაც იგი აქ გადმოსახლდა, აღინიშნება წინა საცხოვრებელი ადგილი და დასახლებული პუნქტის ტიპი, საიდანაც გადმოსახლდა (ქალაქიდან, სოფლიდან).

წინა აღწერისაგან განსხვავებით, ამ კითხვაში შეტანილია პუნქტი: არის თუ არა იძულებით ადგილნაცვალი?

მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებით ადამიანთა 41%-მა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, მათგან 60% არ ცხოვრობს მოცემულ ადგილზე დაბადებიდან. ამჟამად ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამ მაჩვენებელს, ალბათ, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მიგრაციული ნაკადების შესწავლის მიზნით და, რასაკვირველია, იგი დიდ ინტერესს იწვევს.

მეხუთე კითხვა. მშობლიური ენა.

პასუხი ამ კითხვაზე დამოკიდებულია თვით გამოსაკითხ პირზე, თუ რომელ ენას თვლის იგი თავის მშობლიურ ენად. შესაძლებელია, რომ მშობლიური ენა არ დაემთხვეს გამოსაკითხის ეროვნებას. 1989 წლის მონაცემებით თავისი ეროვნების ენას მშობლიურ ენად თვლიდა მოსახლეობის 95,7%, ხოლო 4,3% სხვა ეროვნების ენას.

მშობლიურ ენას ბავშვებისათვის, რომელთაც ჯერ არ იციან ლაპარაკი, როგორც წესი, განსაზღვრავენ მშობლები.

აქვე, ქვეკითხვაში — მიეთითოს სხვა ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობს — მიეთითება ერთი ან ორი სხვა ენა, მშობლიური ენის გარდა, რომელზედაც გამოსაკითხი პირი თავისუფლად წერს და ლაპარაკობს.

მეექვსე კითხვა. მოქალაქეობა.

წინა აღწერისგან განსხვავებით, მომავალი აღწერის პროგრამაში შეტანილია კითხვა მოქალაქეობის შესახებ. ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოში დაშვებულია მხოლოდ ერთი მოქალაქეობა, ამიტომ ამ კითხვაზე პასუხში მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი ქვეყანა.

მეშვიდე კითხვა. ეროვნება.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნისათვის ეროვნების შესახებ კითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საქართველოში 80-მდე ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. თითოეულ მათგანს თავისი სოციალური და კულტურული განვითარების ყველა შესაძლებლობა აქვს. ეროვნების შესახებ ცნობები დაგვეხმარება შევისწავლოთ სხვადასხვა ხალხის ურთიერთგავლენის რთული პროცესები. ერთ-ერთი ასეთია შერეული ქორწინებები, როდესაც ქმარი და ცოლი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, გამოსაკითხ პირს შესაძლებლობა ეძლევა დაასახელოს ის ეროვნება, რომელთანაც იგი თვითონ თვლის თავის თავს დაკავშირებულად ენის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და მისი მსგავსი ნიშნების ერთობით. ამასთან, არჩეული ეროვნება შეიძლება არ დაემთხვეს პასპორტში აღნიშნულს.

მერვე კითხვა. სარწმუნოება.

საქართველოში მიმდინარე სოციალური პროცესების შედეგად ძირფესვიანად შეიცვალა ქართველი ერის დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი. დიდი გაქანება ჰპოვეს სხვადასხვა სექტანტურმა მიმდინარეობებმა. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ რომელ სარწმუნოებას რამდენი მიმდევარი ჰყავს. პასუხების სისწორე, რასაკვირველია, დამოკიდებულია გამოსაკითხი პირის თვითშეგნებაზე.

(დასასრული მე-4 გვ.)

დოკუმენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შესახებ გვკითხავს აღმწერი?

(დასაწყისი მე-3 გვ.)

მეცხრე კითხვა. ქორწინება.

კითხვა დაესმის 15 წლისა და უფროსი ასაკის პირებს. მხედველობაში არ მიიღება, რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება. ამავე კითხვაში, სპეციალურ მართკუთხედში მიეთითება მეუღლის ნომერი შინამეურნეობის ფარგლებში. ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მნიშვნელოვანი მონაცემები მეუღლეთა წყვილების, მარტოხელა დედების და სხვათა შესახებ.

მეათე კითხვა. შვილიანობა.

კითხვა ეხება მხოლოდ 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალებს, როგორც გათხოვილებს, ისე იმათ, ვინც არასდროს ყოფილა გათხოვილი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 15 წელზე ახალგაზრდა ქალს ჰყავს ან ჰყავდა შვილები, კეთდება შესაბამისი ჩანაწერი: რამდენი შვილი შობა, რამდენია მათგან ცოცხალი, რამდენი ცხოვრობს ცალკე.

ქვეკითხვაში 15-49 წლის გათხოვილ ქალებს უნდა დავუსვათ კითხვა: რამდენი შვილის ყოლას აპირებს კიდევ (არსებულის გარდა). ამ გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ და დავსახოთ კონკრეტული ამოცანები მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

მეთერთმეტე კითხვა. სწავლობს თუ არა ამჟამად.

საჭიროა მიეთითოს ჩამონათვალიდან ერთ-ერთი შესაბამისი პასუხი – დიახ ან არა. სკოლამდელთათვის აღინიშნოს – დადის თუ არა სკოლამდელ დაწესებულებაში.

მეთორმეტე კითხვა. განათლების დონე.

კითხვა დაესმის 6 წლისა და უფროსი ასაკის პირებს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადრე მიღებული განათლების დონე შეესაბამება ახლა მიღებულ შემდეგ დონეს: საშუალო სპეციალური – საშუალო პროფესიულს, დაწყებითი სპეციალური – დაწყებით პროფესიულს, საშუალო ზოგადი – საშუალო სრულ ზოგადს, არასრული საშუალო – საბაზო ზოგადს, დაწყებითი – დაწყებით ზოგადს.

ქვეკითხვაში მიეთითება განათლების დონის შესაბამისი პროფესია. ხოლო სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის მითითება: მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი.

წინა, 1989 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის განაწილება განათლების დონის მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევდა: უმაღლესი განათლება – 13,7%, დაუმთავრებელი უმაღლესი – 2,2%, საშუალო სპეციალური – 16,9%, საშუალო ზოგადი – 32,8%, არასრული საშუალო – 14,2%, დაწყებითი – 16,5%, არ ჰქონდა დაწყებითი – 3,7%.

ახლა, როდესაც სახეზე გვაქვს უამრავი კერძო სასწავლო დაწესებულება, მომავალი აღწერის შედეგად მეტად საინტერესო მონაცემები მიიღება.

მეცამეტე კითხვა. არსებობის საშუალებათა წყაროები.

აღმწერი გამოსაკითხ პირს აძლევს ბარათს არსებობის საშუალებათა წყაროების ჩამონათვალით. ამათგან უნდა აირჩიოს ერთი ან რამდენიმე წყარო, რომელსაც გამოსაკითხი თვლის თავის არსებობის საშუალებათა წყაროდ, რაც შესაბამისად აღინიშნება მის სააღწერო ფურცელში.

ეკონომიკაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა, ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მთლიანად შეცვალა ადამიანთა სოციალური მდგომარეობა. აღარაა საზოგადოებრივი ჯგუფები, როგორიც იყო გლეხი, მუშა, მოსამსახურე. ახლა წარმოიშვა, ეგრეთ წოდებული სამუშაოს მიმცემი ან დამქირავებელი, დაქირავებული, თვითდასაქმებული და სხვა.

აქედან გამომდინარე, არსებობის საშუალებათა წყაროების ჩამონათვალში გაჩნდა ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა საკუთარ საწარმოში მუშაობა, მათ შორის - როგორც მუშაკთა დაქირავებით, ისე მუშაკთა დაქირავების გარეშე; ინდივიდუალური საქმიანობა, რომელშიც შედის სამეწარმეო საქმიანობა და შემოქმედებითი (მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი და სხვა) მოღვაწეობა; შემოსავლები საკუთარი გლეხური (ფერმერული) მეურნეობიდან; შემოსავლები საკუთრებიდან, დანაზოგიდან, მათ შორის, საკუთარი საწარმოდან, რომლის მფლობელი არ მუშაობს; ტრადიციულია და კვლავ დარჩა კითხვარში არსებობის ისეთი საშუალებები, როგორიცაა პენსია, სტიპენდია, სხვადასხვა სახის სახელმწიფო დახმარება, კმაყოფაზე ყოფნა.

არსებობის საშუალებათა წყაროების შესახებ მონაცემები საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ გამოსაკითხი პირის სტატუსი დასაქმების მიხედვით.

მეთოთხმეტე კითხვა. ძირითადი საქმიანობის ან შესრულებული სამუშაოს სრული დასახელება.

მოსახლეობის ეკონომიკური სტრუქტურის შესახებ მონაცემების მისაღებად, მომუშავეთა გასანაწილებლად საქმიანობისა და მეურნეობის დარგების მიხედვით, საჭიროა საკმაოდ სრულად და ზუსტად ჩაიწეროს ძირითადი საქმიანობის ან შესრულებული სამუშაოს დასახელება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმიანობა, როგორც ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაო, განსხვავდება პროფესიისაგან, ე. ი. საქმიანობისაგან, რომელიც ადამიანს გააჩნია განათლების დონის შესაბამისად. სააღწერო ფურცელში უნდა ჩაიწეროს ფაქტიური საქმიანობა ან შესრულებული სამუშაოს დასახელება.

მეთხუთმეტე კითხვა. 15 წლისა და უფროსი ასაკის დაუსაქმებელ პირთათვის: ეძებს თუ არა სამუშაოს, მუშაობდა თუ არა წინათ.

ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესმა ეტაპმა წარმოშვა უმუშევრობა. სწორედ მოსახლეობის ასეთი კატეგორიის გამოვლენას ემსახურება ამ კითხვის შინაარსი. ამასთან, აქედან შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკურად აქტიური (კითხვაზე დადებითი პასუხი) და არააქტიური (უარყოფითი პასუხი) მოსახლეობა.

ასეთია იმ ძირითადი კითხვების მოკლე დახასიათება, რომლებსაც შეიცავს სააღწერო ფურცელი. გაზეთის შემდეგ ნომრებში ვისაუბრებთ ცალკეულ კითხვებზე პასუხების შევსების თავისებურებებზე და მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების აღწერის ინსტრუქციით განსაზღვრულ წესზე.

იმედი გვაქვს, აღმწერი სასურველი სტუმარი იქნება თქვენს ოჯახში და არცერთ მის კითხვას არ დატოვებთ უპასუხოდ.

რაჟდენ გელაძე,
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

8. სარწმუნოება	მართლმადიდებლური ☐ პროტესტანტული ☐ სხვა ☐ კათოლიკური ☐ იუდეისტური ☐ არცერთი ☐ სომხურ-მონოფიზიტური ☐ მაჰმადიანური ☐
9. ქორწინება (15 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის)	დაქორწინებული ☐ არასდროს ყოფილა დაქორწინებული ☐ განშორებული, განქორწინებული ☐ მეუღლის № შინამეურნეობის ფარგლებში ☐ ქვრივი ☐
10. შვილიანობა	15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთათვის: ა) რამდენი ბავშვი შობა ☐ ბ) მათგან ცოცხალია ☐ გ) ცხოვრობს ცალკე ☐ 15-49 წლის ასაკის გათხოვილ ქალთათვის მიუთითოს, რამდენი შვილის ყოლას აპირებს კიდევ ☐
11. სწავლობს თუ არა ამჟამად	6 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის: დიახ ☐ არა ☐ სკოლამდელთათვის მიუთითოს დადის თუ არა სკოლამდელ დაწესებულებაში: დიახ ☐ არა ☐
12. განათლების დონე (6 წლისა და უფროსი ასაკის პირთათვის მიუთითოს განათლების უმაღლესი დონე)	უმაღლესი ☐ დაწყებითი პროფესიული ☐ დაწყებითი ზოგადი ☐ დაუმთავრებელი უმაღლესი ☐ საშუალო სრული ზოგადი ☐ არა აქვს დაწყებითი, მაგრამ შეუძლია წერა და კითხვა ☐ საშუალო პროფესიული ☐ საბაზო ზოგადი ☐ წერა-კითხვის უცოდინარი ☐
განათლების დონის შესაბამისი პროფესია	________ ☐
სამეცნიერო ხარისხის მქონეთათვის (მიუთითოს)	მეცნიერებათა კანდიდატი ☐ მეცნიერებათა დოქტორი ☐
13. არსებობის საშუალებათა წყაროები	დაქირავებით მუშაობისათვის ხელფასი ან სხვა რეგულარული ანაზღაურება ☐ პენსია ☐ საკუთარ საწარმოში მუშაობა, მათ შორის ☐ სტიპენდია ☐ მუშაკთა დაქირავებით ☐ უმუშევრობის შემწეობა ☐ მუშაკთა დაქირავების გარეშე ☐ დახმარება (უმუშევრობის შემწეობის გარდა) ☐ ინდივიდუალური საქმიანობა ☐ სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა სახე ☐ მუშაობა საკუთარ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში ☐ სხვა პირთა კმაყოფაზე ☐ მუშაობა პირად დამხმარე მეურნეობაში ☐ ოჯახის დამხმარე წევრი არარეგულარული ანაზღაურებით ☐ შემოსავალი საკუთრებიდან, დანაზოგიდან მათ შორის: ☐ არარეგულარული, შემთხვევითი ანაზღაურება და შემოსავლები ☐ საკუთარი საწარმოდან, რომლის მფლობელი არ მუშაობს ☐ სხვა წყარო ☐
14. ძირითადი საქმიანობა ან შესრულებული სამუშაოს სრული დასახელება	________ ________ ☐
15. 15 წლისა და უფროსი ასაკის დაუსაქმებელ პირთათვის მიუთითოს	ეძებს სამუშაოს: დიახ ☐ → შეუძლია შეუდგეს მუშაობას უახლოეს ორ კვირაში: დიახ ☐ არა ☐ არა ☐ მუშაობდა წინათ: დიახ ☐ → უკანასკნელი სამუშაოდან წამოსვლის არა ☐ წელი ☐ თვე ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეკითხებიან

პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ გაგვარკვიოთ, როგორ აღიწერება საზღვარგარეთ წასული (სამუშაოდ, მივლინებით, სტუმრად, სასწავლებლად...) ადამიანი, ან საქართველოს მოქალაქე, რომელიც საზღვარგარეთიდან მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნდა, მაგრამ ჯერ ნებართვა არა აქვს საცხოვრებელ ადგილზე?

და კიდევ: აღწერა შეეხება თუ არა საქართველოში მყოფ უცხოელებს?

თამაზ ანთაძე. თბილისი.

საზღვარგარეთ კონტრაქტით სამუშაოდ, სამსახურებრივი მივლინებით, სასწავლებლად, დასასვენებლად, ნათესავებთან და ნაცნობებთან სტუმრად და ა.შ. წასული პირი აღიწერება მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოში, დროებით არყოფნის აღუნიშნავად.

საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩამოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნიდან (დსთ-ს ქვეყნების ჩათვლით) საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად, მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე, აღიწერება როგორც საქართველოს მუდმივი მცხოვრები იმ ადგილზე, სადაც მას აღწერამ მოუსწრო.

საქართველოში სასწავლებლად, დელეგაციის შემადგენლობაში, სამუშაოდ, ტურისტად, ნაცნობებთან და ნათესავებთან სტუმრად ჩამოსული პირები, ტრანზიტული მიგრანტების ჩათვლით, აღიწერებიან როგორც საქართველოში დროებით მცხოვრები მოსახლეობა.

ორი თაობა

მსოფლიო

ამერიკა, ამერიკა...

„ცივი ომის" დამთავრებისა და სსრკ-ს დაშლის შემდეგ მსოფლიოში ერთადერთ ზესახელმწიფოდ აშშ დარჩა. დანარჩენი მსოფლიოს თვალში იგი არა მარტო უძლიერესი ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის სახელმწიფოა, არამედ ქვეყანაც, სადაც ადამიანები ამაყობენ მისი მოქალაქეობით. ამერიკა იძლევა კლასიკურ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება შეესაბამებოდეს ერთმანეთის პიროვნული და საზოგადოებრივი, ინდივიდუალური და სახელმწიფოებრივი ინტერესები. გლობალური მსოფლიო კონფრონტაციისაგან თავის დაღწევის შედეგად გამონთავისუფლებული უზარმაზარი ფინანსური, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები ეფექტიანად გამოიყენება სოციალური პროგრესის და ეროვნული დოვლათის ზრდისათვის..

სანიმუშო ეკონომიკისა და ცხოვრების წესის ქვეყანას სტატისტიკაც სანიმუშო აქვს. ქვემოთმოყვანილი მონაცემებიც სწორედ ასეთი ეფექტური სტატისტიკური აღრიცხვის შედეგადაა მიღებული...

ამერიკას ემიგრანტების ქვეყანას უწოდებენ. მარტო 1820-1997 წლებში აშშ-ში ოფიციალურად აღრიცხულ ჩასულთა რიცხვმა 65 მლნ.-ს გადააჭარბა. ემიგრაციის ყველაზე მაღალი ტალღა იყო ამ საუკუნის პირველ ათწლეულში, როცა იქ 8,8 მლნ. კაცი ჩავიდა... ამჟამად ქვეყნის მოქალაქეთა 90.3 პროცენტი აშშ-შია დაბადებული და თავს „100-პროცენტიან" ამერიკელობაზე დებს. მეორე მხრივ, ამერიკაში არდაბადებული, მაგრამ იქ მცხოვრები 25,8 მლნ. ადამიანიდან უმრავლესობა (51%) ჩასულია ლათინური ამერიკიდან. აზიიდან ჩასულები შეადგენენ 27%-ს, ევროპიდან – 17%-ს. მარტო მექსიკიდან ჩასულთა რაოდენობა 1,6-ჯერ აღემატება ევროპიდან ჩასულთა საერთო რიცხვს.

ამერიკაში მცხოვრებ, მაგრამ იქ არდაბადებულთაგან მხოლოდ 35 პროცენტი იყო ნატურალიზებული მოქალაქე; დანარჩენებს (დაახლოებით 17 მლნ.) არ ჰქონდათ ამერიკის მოქალაქეობა. უცხოეთში დაბადებულთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი კალიფორნიაშია – იქ მცხოვრები ყოველი მეოთხე ადამიანი. ნიუ-იორკში ასეთი ყოველი მეხუთეა, ფლორიდაში – ყოველი მეექვსე, ნიუ-ჯერსში – მეშვიდე, ტეხასში – მეცხრე...

ამერიკაში მცხოვრებ, მაგრამ იქ არდაბადებულთა გარდა, ერთდროულად იქ იმყოფება 18 მლნ-ზე მეტი უცხოელი, რომელთაგან 14 მლნ-ზე მეტი მიწვევითაა ჩასული, ხოლო 3 მლნ-ზე მეტი – საქმიანი ვიზიტით. ამავე დროს ამერიკის ფარგლებს გარეთ ყოველთვის იმყოფება აშშ-ის 15 მლნ-ზე მეტი მოქალაქე, რომელთაგან „მხოლოდ" 1,3 მლნ-ია სამხედრო მოსამსახურე; ქვეყნიდან დანარჩენი წასულების თანაფარდობა საქმიანი ვიზიტით წასულებსა და ტურისტებს შორის დაახლოებით 45:55-ზეა. ყველაზე მეტი გასული აშშ-ს „ახლო საზღვარგარეთში" – კანადასა და მექსიკაში ჰყავს (შესაბამისად 1,6 მლნ. და 0,8 მლნ).

ამერიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა – (86%) - მხოლოდ ინგლისურ ენას ფლობს და არც აქვს სურვილი სხვა ენის შესწავლისა. დანარჩენი 14 პროცენტის სამი მეოთხედი პირველი ან მეორე თაობის ემიგრანტია...

რასობრივი კუთვნილობის მიხედვით აშშ-ის მთელ მოსახლეობას ჰყოფენ თეთრკანიანებად, ზანგებად (მისი ინგლისური შესატყვისის ნაცვლად ამ ენაზე ხმარობენ მოდერნისტულ ტერმინს „აფრო-ამერიკელი") და ესპანურენოვანებად, რომლებსაც ძირითადად ლათინური ამერიკიდან გამოსულებს აკუთვნებენ. პროპორციები მათ შორის 90-იანი წლების დასაწყისში შესაბამისად შეადგენდა: თეთრკანიანი – 83,9%, შავკანიანი – 12,2%, ლათინურამერიკელი – 3,9%, ევროპიდან ემიგრაციის შედარებით დაბალი ინტენსივობის, თეთრკანიანების და დანარჩენი რასის წარმომადგენლების განსხვავებული რეპროდუქციული ქცევის და ზოგი სხვა ფაქტორის „წყალობით" ამერიკა სულ უფრო მეტად იძენს „აფრო-ამერიკული", „ლათინურ-ამერიკული" და „აზიური" ქვეყნის ნიშნებს. მარტო ნახევარი საუკუნის მანძილზე – 1940 წლიდან 1990 წლამდე თეთრკანიანების ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შემცირდა 6 პროცენტული პუნქტით. მოსახლეობის ბოლო, 1990 წლის აღწერის მონაცემებით, თეთრკანიანების რიცხვმა წინა, 1980 წლის აღწერასთან შედარებით აშშ-ში მხოლოდ 6%-ით იმატა, მაშინ, როცა შავკანიანების – 13,2%, ამერიკელი ინდიელებისა და ესკიმოსებისამ – 37.9%-ით, აზიის და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან ჩასულთა რიცხვმა – 107,8%-ით.

ამერიკელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (56%) პროტესტანტია, 25% - კათოლიკე, 2% – იუდეველი, 6% – სხვა რელიგიის მიმდევარი; მოსახლეობის 11% არ გამოხატავს რომელიმე რელიგიისადმი მიკუთვნების სურვილს.

აშშ-ში 350 ათასზე მეტი ეკლესიაა, მათგან 160 მართლმადიდებლური და 66 გრიგორიანულია. ეს უკანასკნელი თითქმის ნახევარმილიონიან მრევლს აერთიანებს.

დღიდან დაარსებისა, ნობელის პრემიის ლაურეატთა 45 პროცენტი ამერიკელია. ამერიკას უფრო მეტი ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს, ვიდრე ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, იაპონიას და ყოფილ სსრკ-ს ერთად აღებული...

შრომის ანაზღაურება: აშშ-ში სამუშაო დროის სტანდარტად ითვლება 40-საათიანი სამუშაო კვირა. მეტი ხანგრძლივობის სამუშაოსათვის ანაზღაურებაც, როგორც წესი, 1,5-ჯერ იზრდება (შედარებისათვის: XX საუკუნის დასაწყისში სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 80-90 საათი იყო). ის, ვინც კვირაში 35 და მეტი საათი მუშაობს, სრულად დასაქმებულებს მიეკუთვნება.

საშუალო საათობრივი ანაზღაურება აშშ-ში 1997 წელს 18,21 დოლარს შეადგენდა, მათ შორის მრეწველობაში – 17,70 დოლარს. ყველაზე მაღალი ანაზღაურება – 43,40 დოლარი 1 საათში ჰქონდათ ფსიქიატრებს. როგორც სხვა ქვეყნებში, ანაზღაურებაში განსხვავება დიდია აგრეთვე საქმიანობის ტიპის, რასის, განათლების დონის და ზოგი სხვა ნიშნის მიხედვითაც. ასე მაგალითად, თუ საშუალო საათობრივ ანაზღაურებას მივიჩნევთ 100-ად, მაშინ თეთრსაყელოიანების საათობრივი ანაზღაურება შეადგენს 112-ს, ცისფერსაყელოიანებისა – 75, მამაკაცებისა – 115-ს, ქალებისა – 86-ს...

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ციფრები, ციფრები...

უმუშევრობა

საზღვარგარეთის ზოგიერთ სახელმწიფოში 1980-1998 წლებში

(წლის ბოლოს, პროცენტობით)

	1980	1985	1990	1995	1997	1998 წლის მარტი
აშშ	7,1	7,2	5,6	5,6	4,9	4,7
კანადა	7,5	10,5	8,1	9,5	9,2	8,5
ავსტრალია	6,5	8,3	6,9	8,5	8,6	8,2
იაპონია	2,0	2,6	2,1	3,2	3,4	3,9
საფრანგეთი	6,5	10,5	9,1	11,8	12,6	12,1
გერმანია	2,8	7,2	5,0	6,5	7,8	...
იტალია	4,4	6,0	7,0	12,0	12,3	...
შვედეთი	2,0	2,8	1,8	9,1	9,8	...
გაერთიანებული სამეფო	7,0	11,2	6,9	8,1	7,1	6,4

ინფლაცია

საზღვარგარეთის ზოგიერთ სახელმწიფოში

(წინა წელთან. პროცენტობით)

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998 წ. I კვარტალი
აშშ	5,4	4,2	3,0	3,0	2,6	2,8	3,0	2,3	1,5
კანადა	4,8	5,6	1,5	1,8	0,2	2,2	1,6	1,6	1,0
იაპონია	3,1	3,3	1,6	1,3	0,7	-0,1	0,2	1,7	2,0
საფრანგეთი	3,4	3,2	2,4	2,0	1,7	1,7	2,0	1,2	0,7
გერმანია	2,7	3,5	4,0	4,2	2,7	1,7	1,4	1,7	1,1
იტალია	6,4	6,4	5,1	4,5	4,0	5,2	4,0	2,0	2,0
შვედეთი	10,5	9,7	2,4	4,7	2,3	2,9	0,8	0,9	1,2
შვეიცარია	5,4	5,8	4,0	3,3	0,9	1,8	0,8	0,5	0,0
გაერთიანებული სამეფო	9,5	5,9	3,7	1,6	2,5	3,4	2,4	3,1	3,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

სტატისტიკოსთა ამბავი

რუსეთში პირველად დააპატიმრეს მინისტრის რანგის მოხელე

ახლახან, 8 ივნისს, საკუთარ კაბინეტში დააპატიმრეს რუსეთის სტატსახკომის ხელმძღვანელი იური იურკოვი. მასთან ერთად ფედერალური უშიშროების სამსახურის ეკონომიკური კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სტატსახკომის კიდევ ორი თანამშრომელი – მთავარი გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელები. სახელმწიფო მოხელეთა დაპატიმრების სანქცია გასცა გენერალურმა პროკურორმა. რუსეთის მთავრობას წინასწარ მიეწოდა ინფორმაცია, რომ იურკოვი უნდა აეყვანათ. ამასთან დაკავშირებით მთავრობას არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს. უკანასკნელი წლების მანძილზე პირველად მოხდა, რომ რუსეთში ესოდენ მაღალი რანგის მოხელე დააპატიმრეს.

იური იურკოვს ბრალად ედება დიდი კომპანიებისა და ფირმების საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების სისტემატური დამახინჯება და დაცოტავება, რაც მათ საშუალებას აძლევდა თავიდან აეცილებინათ დაბეგვრა, ხელს უწყობდა ნახევრად ლეგალური „რუხი“ ბაზრის აყვავებას რუსეთში. გარდა ამისა, დაჯგუფება სამსახურებრივ ინფორმაციას ყიდდა კონკურენტ ფირმებზე. როგორც უშიშროების სამსახური ვარაუდობს, ამ საქმიანობამ სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი ზარალი მიაყენა.

სამუშაო ადგილზე დაპატიმრებისა და ჩხრეკის დამთავრებისთანავე იური იურკოვი წაიყვანეს საკუთარ სახლში, სადაც ეკონომიკური კონტრდაზვერვის სამმართველოს ოპერატიულმა მუშაკებმა მოწვეულ დამსწრეთა თვალწინ ბინიდან ამოიღეს 1 მილიონი დოლარი. კიდევ 500 ათასი დოლარი უპოვეს ბინებში სტატსახკომის ორ თანამშრომელს. მათ აღმოაჩნდათ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულებრივი საქმიანობას. ჩხრეკა გვიან ღამით დამთავრდა. ბრალდებულები ლეფორტოვის საგამოძიებო იზოლატორში წაიყვანეს. ეკონომიკური კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლები „იურკოვის საქმეს“ წელიწადზე მეტ ხანს იძიებდნენ. 1998 წლის აპრილიდან მათ დაწესებული ჰქონდათ მეთვალყურეობა. ყველა საეჭვო კონტაქტი ფირზე აღიბეჭდებოდა. გამოძიებას მიაჩნია, რომ კომიტეტში არაერთ წელიწადს მოქმედებდა განტოტვილი დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელსაც სათავეში ედგა იური იურკოვი. შიგ დაჯგუფებაში საათვინთ იყო აწყობილი ინფორმაციის გადაცემა მუშტარი ფირმებისათვის და უკან – პონორარებისა გაწეული მომსახურეობისათვის. როგორც სამართალდამცველმა ორგანოებმა განაცხადეს, არ არის გამორიცხული ახალი დაპატიმრებანი ამ რთული საქმის გამო.

სტატსახკომის ხელმძღვანელის დაპატიმრების ამბავმა მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში ლამის გამსკდარი ბომბის ეფექტი გამოიწვია. ამ წრეების წარმომადგენელთა უმრავლესობის აზრით, იურკოვის დაპატიმრება არის ელემენტი დაწყებული კამპანიისა, რომლის მიზანია გაამკაცროს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკა. პრაქტიკულად, ყველა მიაპყრობს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ 1991 წლის აგვისტოდან პირველად აიყვანეს პატიმრობაში მოქმედი სახელმწიფო მოხელე – მინისტრი.

„ჩვენ უნდა გავარკვიოთ, ხომ არ არის აქ გარეული პოლიტიკა, – განაცხადა სათათბიროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვლადიმერ რიჟკოვმა. – ხომ არ არის სტატსახკომის ხელმძღვანელის დაპატიმრება იმ კამპანიის შედეგი, ქვეყანაში რომ გაჩაღდა ყოველი მოქალაქის რაღაცაში ეჭვმისატანად? მე არ მინახავს ბრალდების მასალები, მაგრამ თუ ინტერფაქსის ცნობებით ვიმსჯელებთ, იური იურკოვს ბრალად ედება ისიც, რომ მისი უწყება აცოტავებდა რეალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის „რუხი“ სექტორის ზრდას. ეს ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. „რუხი“ ეკონომიკა სულაც არ იზრდება სტატსახკომის მიზეზით. ეს იგივეა, რომ პასუხისგებაში მისცე რუსეთის ჰიდრომეტეოსამმართველოს უფროსი იაკუტეთში მომხდარი წყალდიდობისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია საქმის საგულდაგულო გამოძიება. ამასთან, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ მასში ფიგურირებდეს პოლიტიკური მოტივები.

სხვათა შორის, არც „იზვესტიის“ კორესპონდენტმა და არც ვლადიმერ რიჟკოვმა შეხვედრის დროს არ იცოდნენ, რომ იურკოვს დაპატიმრებისას ბინაში მილიონი დოლარი აღმოაჩნდა.

სტატსახკომის ხელმძღვანელ მოხელეთა დაპატიმრების ამბავი სენსაციური გახდა არა მარტო სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებისათვის. ეს სრული მოულოდნელობა იყო თვით ამ უწყების წარმომადგენლებისათვისაც.

ცენტრალური სტატისტიკური უწყების ხელმძღვანელებისადმი წარდგენილ ბრალდებათა გამო შეიძლება ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, საეჭვოა, რომ ბეგარის დიდ გადამხდელთა ბალანსების ამსახველი ინფორმაციის დამახინჯებას შეეძლო არსებითი ზარალი მიეყენებინა სახელმწიფო ხაზინისათვის. ბიუჯეტთან საწარმოების ურთიერთობას ხომ უწინარესად უძღვებიან სახელმწიფო საგადასახადო სამსახური და ფინანსთა სამინისტრო. ამ უწყებათაგან თითოეულს აქვს თავის განკარგულებაში საკუთარი სტატისტიკური სამსახურები, რომლებიც ამოწმებენ საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს. ამასთან, ისინი არ ეყრდნობიან სტატსახკომის მონაცემებს. სხვათა შორის, როგორც საგადასახადო უწყების ახალმა ხელმძღვანელმა ბორის ფედოროვმა განაცხადა, მან არაფერი იცოდა მომხდარი ამბის გამო. ამით ფედოროვმა ოფიციალურად გვაგრძნობინა, რომ სტატსახკომის შემოწმების ინიციატივა სულაც არ მომდინარეობს გადასახადის ამკრეფთაგან.

მეორე, ქვეყანაში რეალურად არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მონაცემების დამახინჯება მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა მთავრობის დონეზე გადაწყვეტილებათა მიღებაზე. არსებობს ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც თავის არსენალში აქვს საკუთარი სტატისტიკური სამსახურები. ასე რომ, თუ სტატსახკომს ბრალი მიუძღვის დამახინჯებებში, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დაზარალდნენ სტატისტიკური ინფორმაციის მუდმივი მოსარგებლენი: მეცნიერები, ჟურნალისტები და ა.შ.

სახელმწიფო მოხელეებისათვის წაყენებულ ბრალდებათა ყველა პუნქტიდან, ალბათ, ყველაზე სერიოზულად უნდა მივიჩნიოთ საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მონაცემებით ვაჭრობა. ჯერჯერობით, ამ ბიზნესის მასშტაბები არ არის დადგენილი, მაგრამ კონფიდენციალური ინფორმაციის გამყიდველებით მიღებული ზარალი, მართლაც, უდიდესია. ამ ცნობებს ხომ იყენებდნენ არა მხოლოდ კონკურენტები, არამედ საბირჟო მოთამაშეებიც.

(დასასრული მე-8 გვ.)

მსოფლიო

ამერიკა, ამერიკა...

(დასაწყისი მე-5 გვ.)

ხელფასის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება შეადგენს 5,15 დოლარს. ამასთან, ზოგიერთი პროფესიის წარმომადგენლისათვის გათვალისწინებულია ამის ნახევარი ტარიფი (ოფიციანტები, ტაქსის მძღოლები...), დანარჩენი ანაზღაურება მათ უნდა „შეივსონ“ ე.წ. „ხელის ქირით“.

შრომის საათობრივი ანაზღაურება იქ არც ისეთი მაღალია, როგორი მითიც არსებობს ამის შესახებ. მაგალითად, 1996 წელს 29 ყველაზე განვითარებული ქვეყნიდან აშშ-ზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა 12 ქვეყანას, მაშინ როცა ორი ათეული წლის წინათ ასეთთა რიცხვი მხოლოდ 5 იყო. ამასთან, ამ მაჩვენებლის მიხედვით ამერიკაზე წინმდგომი ქვეყნების საშუალო ჯამური მაჩვენებელი 34,5 პროცენტით – 105-დან 139,5-მდე გაიზარდა.

უმუშევრობის დონე აშშ-ში 1998 წლის დასაწყისში 4,9% იყო, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი დასავლეთ ევროპაში ორჯერ და მეტად უფრო მაღალია (10,4%). თავის მხრივ, მიუხედავად მაღალი სოციალური დაცვითი სისტემის არსებობისა, რითაც ამერიკელები სამართლიანად ამაყობენ, შემწეობა უმუშევრობის შესახებ არაა ისე მაღალი, როგორც დასავლეთ ევროპაში. – მაქსიმალური დახმარება უმუშევრებზე შეადგენს ბოლო ხელფასის 50%-ს მაქსიმუმ 26 კვირის განმავლობაში (გერმანიაში ასეთი დახმარებები ცალკეულ შემთხვევაში 63 კვირის განმავლობაში გრძელდება). – სოციალურ პოლიტიკაში აქ მთავარი აქცენტი გადატანილია დასაქმების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, იმის ნაცვლად, რომ სოციალური პროტექტორატის ქვეშ მოაქციოს უმუშევრები. ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამერიკის კონგრესის 1940 წელს შექმნილი უმუშევრობისა და დასაქმების კომისია.

სტატისტიკის ხელშეწყობა ამ უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის შესწავლაში განისაზღვრება იმით, რომ შრომის სამინისტროსთან არსებული შრომის სტატისტიკის ბიურო ატარებს შესაბამის ყოველწლიურ მონიტორინგს ყველა შტატის, ხოლო ყოველთვიურ მონიტორინგს - 11 შტატის მიხედვით.

ქალების ეკონომიკური თანასწორუფლებიანობა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ფემინისტურ მოძრაობას არ მიუღწევია ისეთი თვალსაჩინო წარმატებებისათვის თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის საქმეში, როგორც ამერიკაში. თუმცა ბევრი თვლის, რომ ამ მხრივ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი სქესთა შორის აბსოლუტური თანასწორობისკენ საეჭვო სოციალური ღირებულებისაა.



დღეს უკვე ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე აშშ-ში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდათ. ქალთა პირველი პროფკავშირიც მხოლოდ 1920 წელს შეიქმნა. განსაკუთრებით გაძლიერდა მათი უფლებების დაცვა კონგრესის მიერ 1963 წელს ქალთა უფლებების შესახებ ბილის მიღების შემდეგ. პრინციპი „თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურება“ – ძალაშია, მაგრამ იმის გამო, რომ პრაქტიკულად მამაკაცებს ჯერაც უფრო მაღალი და საპასუხისმგებლო, შესაბამისად უფრო მაღალი ანაზღაურებადი თანამდებობები უკავიათ, ქალების საშუალო ჯამური ხელფასი მამაკაცების ხელფასის 4/5-ს შეადგენს.

ამერიკის მოსახლეობაში, ისევე, როგორც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, ქალების რიცხოვნობა სჭარბობს მამაკაცებისას. მათ წილად მოდის მოსახლეობის 51,2%, მაგრამ მათი წილი სამუშაო ძალაში მხოლოდ 46%-ია, ანუ 100 დასაქმებულ მამაკაცზე 85 დასაქმებული ქალი მოდის. ეს ამჟამად – იმის მერე, რაც 1963 წლის შემდეგ განვლილ პერიოდში ყოველი 100 დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილიდან 63 ქალებმა დაიკავეს, მათ შორის სამთავრობო დაწესებულებებში – 71, მომსახურების სფეროში – 64, საცალო ვაჭრობაში – 59. მარტო სამედიცინო მომსახურების სფეროში 1964-1996 წლებში დამატებით დასაქმდა 6 მლნ. ქალი, განათლების სფეროში – 4 მლნ. უმუშევრობის დონე ქალებსა და მამაკაცებში თითქმის თანაბარია (შესაბამისად 5,0% და 4,5%).

ქალების საშუალო საათობრივი ანაზღაურება მამაკაცების შესაბამისი ანაზღაურების 80,8%,ს შეადგენს; კვირეული ანაზღაურების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 74,4%-ია, ხოლო წელზე გაანგარიშებით – 73,8%. იგულისხმება, რომ ქალების სამუშაო საათების რაოდენობა კვირისა და წლის განმავლობაში, ცნობილი მიზეზების გამო, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა. 1979 წელთან შედარებით გარღვევა შემცირდა. საათობრივი ანაზღაურების მიხედვით 35,9%-დან 19,2%-მდე. კვირეული ანაზღაურება – 37,5%-დან 25,6%-მდე.

1997 წელს ქალებს შორის ყველაზე მაღალი ანაზღაურება პროფესიების მიხედვით ჰქონდათ იურისტებს... აქ მათი საშუალო კვირეული ანაზღაურება შეადგენდა 959 დოლარს.

ყოველი მეხუთე ოჯახის უფროსი ამერიკაში ქალია, მაგრამ ეს ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ კეთილდღეობას. ასეთი ოჯახების მესამედზე მეტი (34,9%) სიღარიბის ზღვარს მიღმაა დარჩენილი. იქ, სადაც ოჯახის უფროსი მამაკაცი, ღარიბია ოჯახების "მხოლოდ" 7,5%.

საშუალო ხელფასის დაბალი დონე ქალებში მამაკაცებთან შედარებით, აგრეთვე, სრული სამუშაო კვირით დასაქმების ჩამორჩენა (73,6% ქალებში და 89,6% მამაკაცებში), საერთო სამუშაო სტაჟის ნაკლებობა (შესაბამისად 29 წელი და 39 წელი) ადასტურებს, რომ ქალებს საბოლოო სიტყვა სრული თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე ჯერაც არ უთქვამთ. ზოგიერთი ამერიკელი ფემინისტის აზრით, "სუსტი სქესი" იმდენადაა მომძლავრებული, რომ უკვე XXI საუკუნის პირველ მეოთხედში აპირებს თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებას: თეორი სახლის და კონგრესის თავზე ფემინისტური მოძრაობის გამარჯვების დროშის აფრიალებას...

იოსებ არჩვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივი

1937 წლის აღწერის ფალსიფიკაციები, ფარული და ნაჩქარევობა

მოქმედება მესამე

ხელისიები უარზაარსდ და აღწერის გადამაღვა

მოსახლეობის 1937 წ. აღწერის სიზუსტის დასადგენად, უფრო სწორედ კი მისი დისკრედიტაციის მიზნით, უკვე იანვრის ბოლოს შეიქმნა კომისია, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა სკკპ (ბ) ცკ პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. იაკოვლევი. აღწერის კომისიის წევრებს შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი სტრუმილინი, პროფ. ნემჩინოვი; პარტიისა და სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენლები, მათ შორის დასახელებულია ორი ქართველი: „ამხ. გეგეჭკორი პკკ სოფლის მეურნეობის განყოფილებიდან... ამხ. ცაგურია — სააღრიცხვო განყოფილების უფროსი", აღწერის „მსაჯულები" მთლიანად არასპეციალისტები იყვნენ (ამბობდნენ, უმთავრესად იაკოვლევთან დაახლოებულნიო), მათ შორის ვერ ნახავდით ვერცერთ სტატისტიკოს — დემოგრაფს.

კომისიამ აღწერის ჩატარების წესი მიიჩნია მანკიერად, ზოგიერთი დოკუმენტი და ინსტრუქცია, „დანაშაულებრივ დაუდევრობად", თვით „მავნებლობადაც" კი და ა.შ. იაკოვლევის კომისიასთან შექმნილი სპეციალური ბრიგადები უკვე აღწერის დამთავრების 20 დღის შემდეგ გაუყვნენ აღმწერების კვალს. კომისიის ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ „კომისიის ბრიგადათა უმრავლესობა აღურიცხავი მოსახლეობის რაოდენობას ანგარიშობს (აღწერილი მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში) 3—5%-ის ფარგლებში, ე.ი. 4.8 — 8.1 მილიონ კაცს. ეს მაჩვენებელი ასე იყო მიღებული: უბრალოდ, აღწერისას ცალკეული გამოტოვებულები მრავლდებოდა სოფლის, რაიონის, ოლქის მცხოვრებთა პროპორციულად... ასე და ამ გზით გაზარდეს და მიაღწიეს აღწერით აღრიცხულთა სასურველ, ზემოთ დასახელებულ ციფრს — საბოლოოდ 168 მილიონ კაცს.

აღწერის „მსაჯულები" ხშირად განზრახ ამახინჯებდნენ აღწერის ინსტრუქციულ მასალებს: აღწერისას გამოტოვებულ ან ზედმეტად აღრიცხულთაგან, კომისია აქცენტს აკეთებდა მხოლოდ პირველ ნაწილზე — აღწერისას გამოტოვებულებზე. აღსანიშნავია, რომ იაკოვლევის კომისიის დოკუმენტებში სპეციალურად ცალკეა გამოყოფილი და მოტანილი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღურიცხვიანობის შეფასების შემთხვევები, როგორც ტერიტორიულ ჭრილში, ასევე კომისიის ცალკეული წევრების მიერ ფიქსირებული: „ბრიგადამ უკრაინის შესახებ მოგვცა შესწორება — 4%, კიროვის ოლქის შესახებ — 3%, კალინინის ოლქის — 3.9%, კურსკის ოლქის — 3.5-5%..." „ამხ. გეგეჭკორი შესწორებას განსაზღვრავს — 5.2%, ამხ. ცაგურია — 5% შესწორებას იძლევა... ამხ. პ.ი. პოპოვი, გამომდინარე თავისი მეთოდიდან (?!) შესწორებას განსაზღვრავს 4%"-ით.

საბოლოოდ, კომისიამ გააკეთა და მიიღო შემდეგი დასკვნა: „ბრიგადების მიერ შემოთავაზებული შესწორებები, მატების მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე, ექსპერტების დასკვნის საფუძველზე საერთო შესწორება შეიძლება განისაზღვროს 3-4%-ით, ანუ მოსახლეობის რიცხოვნობა 167-168 მილიონით, როგორც აბსოლუტურად მინიმალური და დასაბუთებული". აქედან გამომდინარე, კომისიამ დააყენა შემდეგი წინადადება: „აუცილებლად საჭიროდ ჩაითვალოს, მოსახლეობის მონაცემებში შეტანილ იქნეს ცვლილება 3-4%, ე.ი. 6.1 მილიონით (1937წ.) მოსახლეობა გაანგარიშდეს 168 მილიონი კაცით". ალბათ, ძნელია, იმ დროს, 30-იან წლებში, მსგავსი ფარსის დაძებნა, ისიც ისეთ მასობრივ სტატისტიკურ ოპერაციასთან დაკავშირებით, როგორც მოსახლეობის აღწერაა. დღეს უკვე მრავალი პუბლიკაცია არსებობს და დადგენილია, რომ მოსახლეობის 1937 წლის აღწერით აღურიცხავთა რაოდენობა არ აღემატებოდა 0.5-0.6 პროცენტს, (ზოგიერთის გაანგარიშებით 0.3%), რაც იმ დროისათვის საუკეთესო მაჩვენებელია. „ზემოდან" იაკოვლევს და მის საექსპერტო ჯგუფს, ბრიგადების მონაწილეობით დაევალათ, დაეზუსტონ და შესწორებები შეიტანონ ცალკეული რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით, ამ რაიონებში მოსახლეობის აღწერის წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით, მაგრამ ისე, რომ „საერთო საკავშირო შესწორება არ აღემატებოდეს 3.7%-ს". გარდა ამისა, იაკოვლევს დაევალა წინადადებით შევიდეს ცკ-ში იმის შესახებ, თუ რომელ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში არ ექვემდებარება აღწერის შედეგები პუბლიკაციას, მათი დეფექტურობის გამო". მაგრამ ამ ღონისძიებებს განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან სახკომსაბჭოს 1937 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, აღწერის მთელი მასალა მიჩნეული იქნა დეფექტურად. თანაც ამ დროისათვის აღწერის მონაწილე „ხალხის მტრები", „მავნებლები" თითქმის მთლიანად რეპრესირებულები იყვნენ ჩუმად, უაურზაუროდ, ოღონდ, რასაკვირველია, მასობრივად, მთელი კავშირის მასშტაბით.

აღწერის დისკრედიტირებას და მასალების დეფექტურობას, უპირველეს ყოვლისა, უკვე მარტის ბოლო რიცხვებში შესწირეს აღწერის სამი ორგანიზატორი, სპეციალისტი-დემოგრაფები: ო. ა. კვიტკინი (1874-1939 წ.წ.) — სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს, სმაცს აღწერის ბიუროს უფროსი, რომელიც მუშაობდა საბჭოთა კავშირში 1919 წელს დაარსებულ ცს სამმართველოში, მონაწილეობდა 1920 წ. და 1923 წ. (ქალაქის) აღწერებში და ითვლება 1926 წლის აღწერის და ამავე აღწერის შედეგების 56 ტომის გამოცემის ორგანიზატორად, რომლის მსგავსი შემდგომში საბჭოთა აღწერების პრაქტიკაში არ მომხდარა; ლ. ს. ბრანდი (1908-1942) — კვიტკინის ყველაზე ახალგაზრდა მოადგილე, მის ღირსეულ შემცვლელად მიჩნეული, აღწერის ინსტრუმენტარებისა და მასობრივი ლიტერატურის გამოცემების ხელმძღვანელი; გ. ვ. კურმანი, (1905-1980წ.წ.) — სმაცს (სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო) მოსახლეობის აღწერის და ჯანდაცვის განყოფილების უფროსი, აღწერის კომისიის წევრი, რომელმაც რეაბილიტაციის შემდეგ განაგრძო დემოგრაფიული პრობლემების კვლევა. ასევე მალე დააპატიმრეს უ. მ. სივრა, უნგრელი კომუნისტი, რომელიც 1919 წელს ჩამოვიდა სსრ კავშირში, იყო კვიტკინის ერთ-ერთი მოადგილე, ბოლოს მუშაობდა მოსკოვის ქალაქის სმაცს უფროსად.

შექმნილ რეპრესიულ ვითარებაში მოახლოებული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით სმაცს უფროსი და აღწერის ხელმძღვანელი კრაველი, აკეთებს პოლიტიკურ ვირაჟს და ავლენს 30-იანი წლების სახელმწიფო-პარტიული ხელმძღვანელი მუშაკის და ძერჟინსკის ყოფილი თანამშრომლისათვის დამახასიათებელ „რკინისებურ პრინციპულობას". 1937 წლის 17 მაისს მოსკოვში გამართულ რესპუბლიკურ სამხარეო და საოლქო სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოების უფროსთა თათბირზე კრაველი თავის შესავალ სიტყვაში სამ დემოგრაფს ახასიათებს, როგორც გამოჩენილ სპეციალისტებს და ნიჭიერ მუშაკებს, მაგრამ გამოთქვამს საყვედურს, რომ „ამ ადამიანებში თავის დროზე ვერ შეამჩნიეს და ვერ გამოავლინეს ხალხის მტრები... თითოეული ჩვენგანისათვის ცხადია, თუ ადამიანი დააპატიმრეს, მაშასადამე, არსებობს არა მხოლოდ ეჭვი მის საწინააღმდეგოდ, არამედ, საკმარისი ფაქტების მის დასაპატიმრებლად... ყოველივე ეს აღრიცხვის მუშაკებს ავალდებულებს უკიდურესად აიმაღლონ სიფხიზლე და მოაწყონ შემოწმება ზემოდან ქვემომდე... არ შეიძლება, ამხანაგებო, ველოდოთ, რომ ეს შინაგან საქმეთა კომისარიატის ორგანოებმა გახსნან, იმიტომ, რომ ისედაც ძალზე ბევრი სამუშაო აქვთ." მიუხედავად იმისა, რომ შინსახკომს იმხანად მართლაც ბევრი სამუშაო ჰქონდა, მას იმჯერად არ დაუგვიანებია „რკინის ფელიქსის", ყოფილი თანამშრომლისა და ბუხარინის „მოწაფის" შემდეგ მის საწინააღმდეგო ჩვენების მიმცემი კრაველის „დამუშავება". ორი კვირის შემდეგ, 23 მაისს სმაცს ახალი უფროსის ბრძანებით კრაველი ჯერ რეზერვში ჩარიცხეს, ერთი კვირის შემდეგ, 2 ივნისს, საერთოდ გაანთავისუფლეს სამსახურიდან, შემდეგ დააპატიმრეს და დახვრიტეს (1938 წ.), ვიდრე დაიღუპებოდნენ კვიტკინი (1939 წ.) და გრანდი (1942 წ.). კურმანი კი 1956 წ. რეაბილიტირებული იქნა, გარდაიცვალა 1980 წელს. დაპატიმრების შემდეგ იგი ორჯერ შეხვდა ბრანდს, როგორც ძველ მეგობარს, პირველად მოსკოვში ლეფორტოვოს ციხეში, ხოლო 2 წლის შემდეგ შორეული გადასახლების ბანაკში...

არ შეიძლება ადამიანი ღრმა პატივისცემით არ განიმსჭვალოს ლ. ს. ბრანდის მიმართ, როცა წაიკითხავს მის მიერ 1939 წ. კოლიმის ბანაკიდან სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ განცხადებას, რომლის ასლიც შემოინახა: „მე მადანაშაულებენ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. ეს ბრალდება მტკიცდება ჩემი საკუთარი აღიარებითა და მოსახლეობის აღწერის ბიუროს ყოფილი უფროსის ო. ა. კვიტკინის ჩვენებით. ყველა ეს ჩვენება სიცრუეა. ჩემი აღიარება იძულებითი, გამომძიებლების მხრიდან ძალადობრივი ღონისძიებებით იყო გამოწ-ვეული, მემუქრებოდნენ, რომ დააპატიმრებდნენ ჩემს მეუღლესა და შვილს, თუ უარს ვიტყოდი შესაბამისი ოქმისათვის ხელის მოწერაზე! ეს მუქარა, რამდენადაც ვიცი, ჩემი მეუღლის მიმართ შესრულებულა. მე ხელი მოვაწერე ოქმს... რაც შეეხება კვიტკინის ჩვენებას... თუ იგი მართლა არსებობს, თავიდან ბოლოდე მცდარია... სრულიად ცხადია, რომ მისი „გამომჟღავნება" ისეთივე ხასიათისა იყო, როგორც ჩემი „აღიარება". გამომძიებლებს (დასა-ხელებულია გვარები — გ. ფ.) არა ერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რომ გამოძებნიან საშუალებას „გამოწოვონ" ნებისმიერი რაოდენობის მოწმის ჩვენებები, ჩემი კონტრრევოლუციური ორგანიზაციისადმი მიკუთვნების შესახებ. ყველა საფუძველია იმის სავარაუდოდ, რომ ეს ჩვენებები სწორედ ასეა კვიტკინისაგან „გამოწურული"...

კრაველის შემდეგ აპატიმრებენ მთავრობისა და სტატისტიკის სამმართველოს სხვა მაღალი თანამდებობის პირებს, მათ შორის, ადრე შექმნილი აღწერის „უმაღლესი კომისიის" 3 წევრს (ნ.ვ. ანტიპოვი, ე.ი. კვირინგი, ვ.ი. მეჟლუკი). რეპრესიებმა „ცენტრიდან" თანდათანობით პერიფერიებში გადაინაცვლა და მოიცვა სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკა, მხარე და ოლქი. საკუთრივ საქართველოში 30-იან წლებში სახელმწიფო სტატისტიკის ცს სამმართველოს მარტო 4 თავმჯდომარე გაათავისუფლეს (კ. რუხაძე, ვ. ორაგველიძე, კ. დვალი, ვ. ჟღენტი), რომელთაგან ზოგიერთი რეპრესირებული იქნა. რეპრესიას ვერ გადაურჩა ვერც საქართველოში მოსახლეობის 1937 წლის აღწერის განყოფილების გამგე გ. მანჯგალაძე.

აღწერასთან დაკავშირებული რეპრესიები არ შემოიფარგლა მხოლოდ პრაქტიკული დემოსტატისტიკის დარგით და დემოგრაფიული მეცნიერებაც მოიცვა. 1938 წელს დაიხურა საბჭოთა კავშირში პირველად 1919 წელს კიევში დაარსებული დემოგრაფიული ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის მრავალი თანამშრომელი რეპრესირებულ იქნა, მათ შორის ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი დემოგრაფი, აკადემიკოსი პტუხა. განთავისუფლების შემდეგ აკად. პტუხამ მონაწილეობა მიიღო 1959 წლის აღწერის პროგრამის შემუშავებაში, უკრაინაში გამოზარდა რამდენიმე ცნობილი დემოგრაფი (ეკ. მეც. დოქტორები ვ. სტაშენკო, ვ. პისკუნოვი და სხვა)... უფრო ადრე, 1934 წელს, დაიხურა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის დემოგრაფიის ინსტიტუტი. ამასთან ერთად აიკრძალა დემოგრაფიული მეცნიერება და 3 ათეული წლით შეწყდა დემოგრაფიული კვლევა, დემოსტატისტიკური მაჩვენებლების, ინფორმაციის პუბლიკაცია, რაც მხოლოდ 60-იანი წლების დასაწყისში განახლდა.

1937 წლის აღწერის მასალები გადამალული იყო ნახევარი საუკუნის მანძილზე, 80-იანი წლების ბოლომდე. მხოლოდ მას შემდგომ, რაც აღწერის შედეგებმა დაკარგეს „სისტემის" მადისკრედიტებელი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, იგი სსრკ სახალხო მეურნეობის ცენტრალურ არქივში „აღმოაჩინა" ამ არქივის დირექტორმა. 1937 წლის აღწერის მასალები გამოქვეყნდა საკავშირო ჟურნალებში. ამდენად აღწერაც რეაბილიტირებული იქნა.

დღევანდელი გადასახედიდან გაუმართლებელია და გულუბრყვილობაც, როგორც ამას მრავალი პუბლიკაციის ავტორები მიიჩნევენ, რომ თითქოს მოსახლეობის 1937 წლის აღწერისა და მიმდინარე დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებს შორის სხვაობამ და მასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ანომალიების დაფარვამ (მოსახლეობის შემცირება წინა წლებთან შედარებით და სხვა) განაპირობა აღწერის მასალების დეფექტურად მიჩნევა და გადამალვა; რეპრესიები, სტალინური ტერორი და ა.შ., ანუ დროებითმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ინტერესებმა და პრობლემებმა. 1937 წლის აღწერის შედეგები შეუთავსებელი და დაუბალანსებელი აღმოჩნდა საბჭოთა იმპერიის ტოტალიტარული მართვის გლობალური პოლიტიკური ინტერესებისადმი, დემოგრაფიის დარგში „ცენტრის", დერჟავის მონოპოლიური მდგომარეობის მისაღწევად. ამისათვის აუცილებელი იყო დემოგრაფიული სფეროს გათიშვა (დემოგრაფიული პროცესებისაგან დემოგრაფიის დარგისა), რაც პირველად შესდგა კიდეც 1937 წელს იმ დროისათვის დამახასიათებელი ძალსანი, „ჭირურგიული" ჩარევით, შემდგომ კი იგივე განხორციელდა „მშვიდობიანი" მეთოდით.

ყოველივე ამის დღევანდელ შედეგებზე და პრობლემებზე საქართველოში, მისი დაძლევის ამოცანებზე შემდეგ ნომერში გესაუბრებით „დემოპოლიტოლოგიური ეპილოგის" სახით.

გია ფირცხალავა.

ავტორის დემოგრაფიული პუბლიკაციების სპონსორია „საქართველოს საფოსტო ბანკი".

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „მგ" №1, 2.

სკანდალი

სტატისტიკოსთა ამბავი

(დასაწყისი მე-5 გვ.)

ასე რომ, რითაც უნდა დამთავრდეს მთელი ეს ალიაქოთი, ერთი რამ ცხადია: სტატსახკომის რეპუტაციას ლახვარი ჩაეცა, – წერს გაზეთი „იზვესტია“ (№1054).

გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ წერს, რომ სახელმწიფო მოხელეებს წაუყენეს ბრალდება 159 მუხლის მე-3 ნაწილით (სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის). დაკავებულებმა დაკითხვაზე უკვე აღიარეს თავიანთი ბრალი.

აქვე გაგაცნობთ „კომსომოლსკაია პრავდას“ (№107) კომენტარს:

თურმე, რუსეთში ინფორმაცია ფული ღირებულა, თანაც ისეთი, რომ შეიძლება მიიპყროს ფედერალური უშიშროების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის ყურადღება. სტატისტიკამ, როგორც ილფი და პეტროვი ამტკიცებდნენ, ყველაფერი იცის. ქვეყნის ყველა დიდი თუ საშუალო საწარმო მოვალეა რეგულარულად შეავსოს ხოლმე ანგარიშგების სპეციალური ფორმები, რომლებიც შემდეგ სტატსახკომის ქვეგანყოფილებაში ხვდება შემდგომი დამუშავებისათვის. თანამშრომელთა რიცხოვნობა, მათი საშუალო ხელფასი, ფულის მიმოქცევისა და რეალიზაციის მოცულობა, საექსპორტოდ გაგზავნილი პროდუქციის რაოდენობა... მაძიებელ გონებას შეუძლია, მშრალი ციფრებიდან ბევრი სასარგებლო რამ შეიტყოს. ამიტომ, სტატსახკომის ხელმძღვანელობის დაპატიმრების ცნობის შეტყობით გამოწვეული გაოცება – კი მაგრამ, იქ რისი მოპარვა შეიძლებაო, – შეიცვალა ერთგვარი აღფრთოვანებით ზოგიერთი რუსი მეწარმის გაქანების გამო – ხედავ, სტატისტიკაშიც შეუძლიათ იპოყონ რაღაც სარგებელიო! მართლაც, ცალკეული სტატისტიკური მაჩვენებლების დაცოტავებამ საწარმოს შეუძლია მოუტანოს საგრძნობი ეკონომია გადასახადებზე. ხოლო ცნობები კონკურენტების შესახებ – ძვირი ღირს.

ჩვენ ხშირად გვიკვირს: თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, ღარიბ-ღატაკნი ვართ, ეკონომიკა სულს ღაფავს, არადა, ამავე დროს, ქალაქების ირგვლივ სოკოებივით ჩნდება ახალ-ახალი ფეშენებელური სახლები, ქუჩებში დასრიალებს მდიდრული მერსედესები, უამრავი ჩვენი მოქალაქე დასასვენებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც ფულს ფანტავს... ცხადი იყო, რომ დღეს ძირითადი ფული ტრიალებს ეკონომიკის ფარულ სექტორში, მაგრამ არავის შეეძლო ზუსტად დაედგინა ამ ფარული ზონის ფართობი. ახლა ცხადია, რატომ. – თუკი სტატსახკომი მონაცემებს ამახინჯებს, საიდან გავიგებთ ზუსტ ციფრებს? ნამდვილად ბრძნული ნათქვამია: არის სიცრუე, არის დიდი სიცრუე და არის კიდევ სტატისტიკაო...

ყოველივე ეს არც ისეთი უწყინარი რამაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს. სტატსახკომის ციფრებიდან გამომდინარე იანგარიშება უმნიშვნელოვანესი საბიუჯეტო მაჩვენებლები. ისეთები, როგორიც არის მთლიანი შინაგანი პროდუქტის მოცულობა. მის საფუძველზე წარმოებს ბიუჯეტის შემოსავლისა და დეფიციტის გაანგარიშება...

მერე კი, ისევ გვიკვირს, როგორ ანგარიშობენ ეკონომისტები, ბიუჯეტის ფული არაფერს რომ არ ყოფნისო?! სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტატისტიკური ანგარიშების დამახინჯება უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

რუსული პრესის მიხედვით.

ჩვენი ენციკლოპედია

დემოგრაფია

ტერმინი „დემოგრაფია“ (ბერძ. დემოს – ხალხი, გრაფო – ვწერ) შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა, რომლის წიგნი – „ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია“ გამოიცა 1955 წელს. ა. გიიარის განმარტებით, დემოგრაფია ესაა „ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია“, ანუ, მისივე სიტყვებით დემოგრაფიის საგანია ადამიანთა პოპულაციის, მათი საერთო მოძრაობის, ფიზიკური, მოქალაქეობრივი, ინტელექტუალური და მორალური მდგომარეობის მათემატიკური შეცნობა.

ამასთან, დემოგრაფია, როგორც მეცნიერული ცნობიერების დარგი, სამ საუკუნეზე მეტია რაც არსებობს: 1662 წლის იანვარში გამოიცა ინგლისელი ჯ. გრაუნტის თხზულება „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი, მოხსენებულნი დართულ ნუსხაში და გაკეთებულნი მოკვდავობის ბიულეტენთა საფუძველზე...“, რაც საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც პირველი და თანაც ფუძემდებლური ნაშრომი დემოგრაფიაში.

XVII საუკუნის დასაწყისიდან რეგულარულად, ყოველკვირეულად გამოიცემოდა ლონდონში მოკვდაობის სპეციალური ბიულეტენები, ხოლო ყოველი წლის დამდეგს ბიულეტენში იბეჭდებოდა მთელი გასული წლის კრებსითი მონაცემები. ჯ. გრაუნტს ჰეშმარიტად ბედმა გაუღიმა, როცა აზრად მოუვიდა ლონდონის მოქალაქეთა მოკვდაობის ხსენებულ ბიულეტენებს მეცნიერულად დაკვირვებოდა.

ჯ. გრაუნტის თხზულებამ გამოსვლისთანავე მიიქცია განათლებული საზოგადოების ყურადღება და ფართო აღიარება ჰპოვა. წიგნის დაბეჭდვის ერთი თვის შემდეგ მისი ავტორი თვით მეფე ჩარლზ II-ის წარდგინებით აირჩიეს ახლადშექმნილ ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. თავისი წიგნის ვრცელ სახელწოდებაში ჯონ გრაუნტი მიუთითებს მოკვდაობის არამხოლოდ ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ, არამედ თვით სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს და ჭვრეტს გარკვეულ კანონზომიერებებს დემოგრაფიულ მონაცემთა დინამიკაში. მან პირველმა შეადგინა მოკვდაობის ტაბულა, განაცხადა, რომ მოსახლეობის რაოდენობისა და მისი დანაწილების ცოდნა საჭიროა ვაჭრობისა და მრეწველობის ხელმძღვანელობისათვის, ქვეყნის გამგებლობისათვისო: „მე ვამტკიცებ, რომ ყველა ამ და მათი მსგავსი მოვლენების ზუსტი ცოდნა აუცილებელია ქვეყნის კარგი და უშშარი მმართველობისათვის“.

ჯონ გრაუნტის დროს ჯერ არც ტერმინი „სტატისტიკა“ იყო. იგი 1749 წელს შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა გ. აჰენვაცმა.

გამოცანა

რამდენი წლისანი იყვნენ დათას შვილები?

მოსახლეობის აღწერის ჩატარების დროს, აღმწერი ერთ ოჯახს ესტუმრა და სააღწერო ბარათის შესავსებად მოემზადა.

ოჯახის უფროსი დათა, ცოტა კვიმატი კაცი იყო, დაახლოებით ისეთი, კინოფილმ „ნერგების“ პერსონაჟი რომაა – პატარა კუნძულზე ხეჭეჭურის ნერგები რომ გამოჰყავს.

დათამ აღმწერს ყველა კითხვაზე კეთილსინდისიერად უპასუხა. როცა ჯერი შვილებზე და მათ ასაკზე მიდგა, „ჟაჯიუტდა“ და აღმწერს მიმართა:

– მე მიგანიშნებთ და ჩემი სამივე შვილის ასაკი თავად გამოიცანი.

– კეთილი, – დათანხმდა აღმწერი.

დათამ მიანიშნა:

– ჩემი შვილების წლოვანების ნამრავლი 36-ს შეადგენს.

აღმწერმა დათას უთხრა:

– შე კაცო, ასე როგორ დავადგენ შენი შვილების ასაკს!

დათა შემოშველა:

– ჩემი შვილების წლოვანების ჯამი იმდენივეა, რამდენი ოჯახიც ცხოვრობს ჩვენს სადარბაზოში.

აღმწერი ჩაფიქრდა, მერე ჯიბის კალკულატორზე რაღაც გულმოდგინედ გამოთვალა და დათას კვლავ მიმართა:

– არც ეგ ორი პირობაა საკმარისი შენი შვილების ასაკის დასადგენად.

– კარგი, იმასაც გეტყვი, რომ ჩემი უფროსი ქალიშვილი თავის ძმებს ბაღში ასეირნებს.

ამ მესამე პირობის შემდეგ, აღმწერმა დათას შვილების ასაკი მარტივად დაადგინა.

. . .

რამდენი წლისა იყო დათას თითოეული შვილი?

შეადგინა ვაჟა ტულუშმა.

იუმორი ერროვნული ბიბლიოთეკა

მივბაძოთ...

უხუცესთა დღე

იაპონიაში 114 წლის ასაკში გარდაიცვალა ქვეყნის უხუცესი მცხოვრები სუეკიკუ მიანატა. იგი დაიბადა 1884 წლის 7 აპრილს. მის დაბადებამდე, 16 წლით ადრე, ქალაქ ედოს სახელი შეუცვალეს და ტოკიო უწოდეს. იაპონიის პარლამენტის პირველი სხდომა კი მიანატას დაბადების 6 წლის შემდეგ გაიმართა.

ბოლო ხანს სუეკიკუ მიანატას გული აწუხებდა, მაგრამ მაინც რეგულარულად მონაწილეობდა სატელევიზიო პროგრამებში ხანდაზმულ ადამიანებზე. ასეთი ადამიანების პატივსაცემად ქვეყანაში საღღესასწაულო თარიღიცაა დაწესებული. ამ დროს ღღეგრძელებს, როგორც იტყვიან, ხელის გულზე აგარებენ.

იქნებ ჩვენც მიგვებაძა, ჰა!

ისიც აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

რა არ ხდება!

კაცებმა ბურთს ქალი ანაცვალეს

არგენტინელები სულ უფრო იშვიათად იხსენებენ სექსს. სტატისტიკა, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველაზე ინტიმურ სფეროებსაც კი მოიცავს, მოწმობს, რომ 90-იანი წლების დამდეგისათვის ქვეყნის მოქალაქეთა სექსუალური ცხოვრება ორჯერ ნაკლებად ინტენსიური გახდა, ვიდრე დაუვიწყარ 60-იან წლებში, როცა მძვინვარებდა სექსუალური რევოლუცია.

ესოდენ დამაფიქრებელი სიტუაციის მთავარ მიზეზად სპეციალისტები ასახელებენ სტრესს, რომელიც გამოწვეულია უმეტესად არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობით. დღეისათვის არგენტინაში სამუშაოს უქონლობა პრობლემაა, მაგრამ ისიც პრობლემაა, თუ სამუშაო გაქვს, რადგან ადამიანებს მუდამ თან სდევს მისი დაკარგვის საშიშროება. როცა არგენტინაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმები დაიწყო, მოსახლეობის ნახევარი კვირაში სამჯერ ეძლეოდა სექსს. ათი წლის შემდეგ ასეთი ფუფუნების ნება შეიძლება თავს მისცეს ქვეყნის მხოლოდ ყოველმა მეათე მცხოვრებმა. მოსახლეობის ნახევარი კითხვას იმის შესახებ, თუ როგორია მათი სქესობრივი ცხოვრების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ბუნდოვნად უპასუხებს ხოლმე: „კვირაში ერთი - ორჯერ“. მოსახლეობის მეოთხედი უაღრესად ლაკონურ პასუხს იძლევა: „კვირაში ერთხელ“.

როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ფეხბურთს სპეციალისტები კიდევ ერთ დაბრკოლებად მიიჩნევენ არგენტინაში ნორმალური სქესობრივი ცხოვრებისათვის. ადგილობრივი ტელევიზია დღეში საშუალოდ 5 ფეხბურთის მატჩს უჩვენებს და ტელევიზორისაგან ქმრის მოწყვეტა ცოლებისათვის არცთუ იოლია. საქმე ზოგჯერ მეტად რთულდება. ბევრი მამაკაცისათვის ფეხბურთის გარდა არაფერი არსებობს, ირწმუნებიან სექსოლოგები. ექიმები აწყდებიან ნამდვილი ფანატიზმის შემთხვევებს, როცა ფეხბურთი უბრალოდ განდევნის ხოლმე სქესობრივ ცხოვრებას, ხოლო საყვარელი გუნდის მიერ გატანილი გოლი ორგაზმს ცვლის.

და მაინც, სტრესისა და ფეხბურთის მიუხედავად, ჯერ კიდევ ყველა არგენტინელს როდი გამოელია ვნების ცეცხლი. მაგალითისათვის გამოდგება 59 წლის გლეხი ხუან როხასი. იგი მისიონესის მიყრუებულ პროვინციაში ცხოვრობს სამ ცოლთან ერთად, რომლებმაც მას 35 შვილი გაუჩინეს. მისი უფროსი შვილები 40 წლის ასაკს გადასცილდნენ, უმცროსი ქალიშვილი კი სულ რაღაც ორი წლის არის. კითხვაზე, დრო ხომ არ არის შეჩერდეს, მან უარყოფითად უპასუხა. რაც შეეხება მის სამ ცოლს, რომლებმაც მას გაუჩინეს შესაბამისად 14, 11 და 10 ბავშვი, ამ კითხვაზე პასუხს თავს არიდებენ.

გვიმრავლოს!

მილიონთა ჟიოგრაფია
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველთვიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: კ. გამსახურდიას პრ. №4

რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 26 თებერვალს